ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად ***ორივე დავალება უნდა შეასრულოთ.***
დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***3 საათი.***
თითოეული ნაშრომის ***მაქსიმალური ქულაა 20.***
ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელში.***

წერითი დავალება № 1

ინსტრუქცია:

მოცემული ორი ტექსტიდან აირჩიეთ **<u>მხოლოდ ერთი</u>**. კარგად გაიაზრეთ იგი, იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს და გამოხატეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება.

ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებული იქნება ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით.

სასურველია ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი, სხვათა ნაამბობი, საკუთარი გამოცდილება და ა. შ.

შავი სამუშაოსათვის მოცემულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.

გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.***

გისურვებთ წარმატებას!

1.

მარადიული პეიზაჟი

სულ იქით ცა არის, შემოდგომის ლურჯადმიყუჩებული ცა. მის წინ – შემრეშილტყიანი გრძლადწასული გორა. გორის წინ – სანთლებივით სწორად ასული ალვები, ალვების წინ – მსუბუქად გაფენილი ყვითელი სიმინდები (ჯაფარა მიფრინავს იმ მსუბუქ სიყვითლეში), სიმინდების წინ – ძეძვის მუქი ღობე, ღობესთან – შავადაგრაგნილი ტოტებშეკაფული მუხა (ნაკაფზე ფუნჯებად ამოჭყრია წვრილი ყლორტები), მუხასთან – გრძელი საცალფეხო ხიდი, ხიდქვეშ მიედინება წმინდა, ოქროსფრად მოციმციმე წყალი, ხიდზე გამოდის წელში მოხრილი, თითქმის მუხლებამდე ცხვირმიტანილი შავი დედაბერი, ზურგზე ჰკიდია პირთამდე სავსე ტომარა, ფეხის წვერები ერთმანეთის მიყოლებით მოიწევენ ჩემკენ.

. . . . . .

ვერ ვცნობ და მაინც:
დედაჩემს იმ სავსე ტომრით დარდი მოაქვს ჩემთან.

რევაზ ინანიშვილი

2.

* * *

ალბათ ყველაფერს მოედო ხავსი
და ალბათ უკვე ვედარც იხარებს:
ეზო, რომელიც ძილშიღა გვახსოვს,
სახლი, რომელიც გადავიყვარეთ.

სამაგიეროდ... სამაგიეროდ,
ქვეყნის ტალახი გვათოვს და გვაწვიმს...
შენ დაიფარე, ღმერთო ძლიერო,
საკუთარ ფესვებს მომწყდარი კაცი.

ოთარ ჭილაძე

დაწერეთ <u>ერთ-ერთი</u> ტექსტის ანალიზი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

წერითი დავალება № 2

ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას, გაიაზრეთ იგი და წერა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად საფუძვლიანად და ორიგინალურად იქნება დასაბუთებული ესა თუ ის შეხედულება და არა იმის მიხედვით, დაემთხვევა თუ არა თქვენი მოსაზრება საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს.

სასურველია ნაშრომი დაახლოებით ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ. მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული წიგნი, ნანახი ფილმი თუ სპექტაკლი, სხვათა ნაამბობი, საკუთარი გამოცდილება და ა. შ.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.***

ნამუშევარი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.

გისურვებთ წარმატებას!

დაწერეთ თხზულება – „დუმილი ოქროა?!“

1. „ადამიანი უხერხულად გრძნობს თავს, როდესაც გულახდილად საუბარი უწევს. მიეცით მას ნიღაბი და ის იტყვის სიმართლეს“ *(ოსკარ უაილდი).*

2. „უწინარეს ყოვლისა, ენას მაგრად დააჭირე კბილი“ *(პითაგორა).*

იმსჯელეთ, რომელ შეხედულებას ემხრობით და – რატომ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!